



MES 8 23 0000791902



30/06/2023

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების
განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების“ მე-18 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა ჰიბრიდულად, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში **2023 წლის 16 ივნისს 14:00 საათზე**. სხდომას ფიზიკურად ესწრებოდა 6 საბჭოს წევრი, დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით ჩაერთო საბჭოს 4 წევრი, ექსპერტი და ორგანიზაციის წარმომადგენელი. საბჭოს სხდომაში დისტანციურად მონაწილე პირებმა თანხმობა განაცხადეს, რომ დისტანციური ფორმით მიეღოთ მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/87506496361?pwd=TVZyY3dLM2lQcC9EUIBBSzA0V1NKdz09>

Meeting ID: 875 0649 6361

Passcode: 569663

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

ნინო ბაბალაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);

ზაირა ბერიძე - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პროფესიული განათლების მრჩეველი (საბჭოს წევრი);

გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);

მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);

თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);

მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);

ნინო შუბითიძე - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ანალიზის, მონიტორინგისა და შეფასების დეპარტამენტის მენეჯერი (კონსულტანტი) (საბჭოს წევრი);

ნათია კვიციანი - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი კოორდინატორი (საბჭოს წევრი);

ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი (საბჭოს წევრი);

მარიამ შოთაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის კოლეჯების კოორდინაციის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე

ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

სალომე ქუთათელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ნინო ხელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ნონა საათაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენელი:

შპს პმ სქული

სერგო რუდენკო - დირექტორი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგის ექსპერტი:

ლია ავალიანი

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:06 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა

და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წინადადებით, ვინაიდან საბჭოს მდივანი მარიკა ზაქარეიშვილი არ ესწრებოდა სხდომას, საბჭოს მდივნის ფუნქცია შეესრულებინა საბჭოს წევრ ზაირა ბერიძეს, რაზეც ზაირა ბერიძემ თანხმობა განაცხადა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით, შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით არ იყო.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. შპს კმ სქულის პროფესიული მომზადების პროგრამის „კლასიკური მასაჟის შემსწავლელი საბაზისო პროფესიული კურსი“ /01559/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომა წარიმართა დღის წესრიგის მიხედვით

1. 1. შპს კმ სქულის პროფესიული მომზადების პროგრამის „კლასიკური მასაჟის შემსწავლელი საბაზისო პროფესიული კურსი“ /01559/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა ლანა გაჩეჩილაძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 11 მაისის №529076 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ლანა გაჩეჩილაძემ და დარგის ექსპერტმა ლია ავალიანმა განხორციელეს ვიზიტი შპს კმ სქულში, მის: ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №4.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის „კლასიკური მასაჟის შემსწავლელი საბაზისო პროფესიული კურსი“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტისას გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი. მოხდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან, პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებების წარმომადგენელთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან. ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ და თანამშრომლობით გარემოში.

ლანა გაჩეჩილაძემ განაცხადა, რომ პროგრამა ითვალისწინებს სწავლის შემდეგი შედეგების მიღწევას:

სწავლების შედეგად კურსდამთავრებულს შეეძლება პროგრამაში ჩადებული თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით სრული მანიპულირება;

შეუძლია შეხების განსაკუთრებული უნარების ჩამოყალიბება;

შეუძლია დაგეგმვა და პროცესის მოდელირება;

ლანა გაჩეჩილაძემ სწავლის შედეგებთან დაკავშირებით დასძინა, რომ აღნიშნული სწავლის შედეგები ბუნდოვანია და სწავლის შედეგებიდან ნათლად არ ჩანს, თუ რა კონკრეტულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს შეიძენს მსმენელი. შესაბამისად პროგრამის სწავლის შედეგები არ არის აღწერილი ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.

ლანა გაჩეჩილაძემ ისაუბრა პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა არის პროფესიული მომზადების, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა - 5 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 24.

ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს დაფიქსირდა ხარვეზები და გაიცა რეკომენდაციები, კერძოდ,

დაფიქსირებული ხარვეზები

ქვესტანდარტი 1.2 - პროგრამის სახელწოდება არ არის შეცდომაში შემყვანი, თუმცა სახელწოდება უფრო კონკრეტულია, ვიდრე პროგრამის შინაარსი, სახელწოდება ვერ ფარავს პროგრამის შინაარსს.

ქვესტანდარტი 1.4 და 1.7 - პროგრამა მოიცავს კლასიკური მასაჟის გარდა ანტიცელულიტური თაფლით და სხვა ეგზოტიკური მასაჟის სახეებს; სეგმენტურ-რეფლექტორულ მასაჟს; სამკურნალო მასაჟს; სპორტული მასაჟის სპეციფიკას; ანტიცელულიტური მასაჟის სპეციფიკას; სარელაქსაციო მასაჟის სპეციფიკას; ბავშვების მასაჟის სპეციფიკას და ა. შ. ამდენად აღნიშნული თემების გათვალისწინებით 150 სთ. საკმარისი არ არის სრულყოფილად შესწავლისთვის, მაშინ როცა პროგრამის სახეა მომზადება და ჩასარიცხ პირებს პროგრამის შინაარსის შესაბამისი კომპეტენცია/გამოცდილება წინასწარ არ მოეთხოვებათ.

ქვესტანდარტი 1.6 - პროგრამის სწავლის შედეგებიდან ნათლად არ ჩანს, თუ რა კონკრეტულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს შეიძენს მსმენელი. ფაქტობრივად, რომ არ იცნობდე პროგრამის შინაარსს, თემატიკას და სახელწოდებას, მხოლოდ სწავლის შედეგებით ვერ შეგექმნება შთაბეჭდილება, რა პროგრამაზეა საუბარი. პროგრამის სწავლის შედეგები არ არის აღწერილი ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.

ქვესტანდარტი 2.4 - შპს ჰმ სქულმა ვიზიტის შემდგომ დამატებით წარმოადგინა სახანძრო-ტექნიკური შემოწმების შედეგების საფუძველზე შედგენილი აქტი №89 (22.05.23), რომლის თანახმად შენობა-ნაგებობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ წესებს. მან დასძინა, რომ ორგანიზაცია მდებარეობს ქ. თბილისში, ფლობს 55 კვ.მ. ფართს, იჯარის ხელშეკრულება

წარმოდგენილი იყო ერთი წლის ვადით, თუმცა ვინაიდან პროგრამას განხორციელების უფლება ეძლევა 3 წლის ვადით, ორგანიზაციამ ვიზიტის დროს წარმოადგინა იჯარის ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებულია 5 წლის ვადით.

რეკომენდაციები:

ქვესტანდარტი 1.3 – რეკომენდებულია პროგრამის მიზანში შეიცვალოს ჩანაწერი „პროფესიული სტუდენტი“ და მიეთითოს „მსმენელი“.

ქვესტანდარტი 1.4 – ტექნიკურად გამორჩენილია მინიმალური განათლება და რეკომენდებულია დაშვების წინაპირობაში მიეთითოს - საბაზო განათლება.

ქვესტანდარტი 1.6 - რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილი იყოს ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით, ასევე, შედეგის დასახელება იყოს უფრო ლაკონური და მარტივად აღსაქმელი.

ქვესტანდარტი 1.9 - პროგრამის დოკუმენტში ტექნიკურად არასწორად მითითებულია მხოლოდ A გარემო ყველა კვირაში, თუმცა რეალურად ორგანიზაციას აქვს კომბინირებული A/C გარემო, რეკომენდებულია პროგრამის დოკუმენტში სწორად მიეთითოს სასწავლო გარემო.

ქვესტანდარტი 2.2 - პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სასურველი იქნება, თუ პროგრამაში ჩასწორდება და მიეთითება რეალურად არსებული ყველა მატერიალური რესურსი, რომელიც დაწესებულებას და პრაქტიკის ობიექტს გააჩნია.

პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ბაბალაშვილმა მიმართა ორგანიზაციის წარმომადგენელს გამოეთქვა მოსაზრება, მან აქვე დასძინა, რომ როგორც დასკვნიდან ჩანს, დარღვეულია 2 სტანდარტი, შესაბამისად, №131 დადგენილების თანახმად, ასეთ შემთხვევაში საბჭომ უნდა მიიღოს უარყოფითი გადაწყვეტილება ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე. მან განუმარტა ორგანიზაციის ხელმძღვანელს, რომ სასურველია განმეორებით განაცხადის შემოტანა ყველა ხარვეზის გასწორების და გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინების შემდეგ.

ორგანიზაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ დაიწყეს მუშაობა ხარვეზების გასწორებაზე პროგრამასთან მიმართებაში და ასევე, რეკომენდაციების გათვალისწინება, და როგორც კი სახანძრო უსაფრთხოების საკითხი მოგვარდება, შემოიტანდნენ განაცხადს ხელმეორედ. მან მაღლობა გადაუხადა ექსპერტებს, საბჭოს წევრებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კმ სქულის პროფესიული მომზადების პროგრამის „კლასიკური მასაჟის შემსწავლელი საბაზისო პროფესიული კურსი“ /01559/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 0

წინააღმდეგი: 10

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს კმ სქულს (ს/კ: 400330717) უარი ეთქვას განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - კლასიკური მასაჟის შემსწავლელი საბაზისო პროფესიული კურსი /01559/.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა: 14:40 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიძე ზაირა

